ბარიტონი

ფასი 10.000 მ.

სტამბის მისამართი: სამხედრო სტამბა, ლორის—მელიქოვის ქ. № 3. ტელეფ. 8—61 განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 3 ორშაბათი 17 ივლისი. № 3

საქართველოს ს. ს. რ.

მომარაგების საბჭო ს. მ. უ. ს.

მმართველობა: ტფილისი, შტაბის ქ. № 2. ტელ. 9—24, 3—03.

გახსნილია მაღაზიები:

ელექტრო-ტექნიკური, მანუფაქტურის, სასოფლო სამეურნეო, ავეჯეულობის, | ტყავეულობის, თუთუნის, ქაღალდის, პარფიუმერის, მინერალურ წყლის.

სასახლის ქ. № 2 **უნივერსალური მაღაზია** სასახლის ქ. № 2

ჩრდ. კავკასია ტ. კუდალაშვილი. სპარსეთი ტ.-ასატროვი—თეირანი. თურქესტანი ა. ჯაფარიძე და გ. მაისაშვილი—ქ. ტაშკენტი. საქართველოში: ბათუმი ვ. ბერიძე—სოკოსსა. ქუთაისი—ცენტრ. საწყობი.

სარაიონო წარმომადგენლები და კანტორები მომარაგების საბჭოსი ახდენენ ყოველ გვარ საყიდრო ოპერაციას.

ვაჭრობა

ბორჯომის წყალი და ნარზანი

ბოთლებით და ჭიქებით

სასახლის ქუჩა № 2.

გახსნილია პირველი

სახელმწიფო ყინულის დამამზადებელი ქარხანა

ს. ს. უ. ს. მომარაგების საბჭოსი

(ბუშინის და ლორის-მელიქოვის ქ. კუთხე, ყოფილ სვეშნარიის შენობა)

ყინულის სყიდვა ყველას შეუძლიან დაკლებულ ფასებში

ამერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის

საყიდრო განყოფილების დუქანში იყიდება გერმანიიდან მიღებული კერესინეები „ბრეტს № 1“. პრიმუსები და მინანქარის ჭურჭელი, იყიდება აგრეთვე ნარდაო ფარეულობა, პოსტიუმები.

კონიაკი ანანოვისა, შამპანიური საზღვარგარეთულ მარკისა.

ჰირველ ხარისხის ფქვილი, შაქარი და სხვა.

მისამართი: ა. კ. ს. ვ. ე. საყიდრო განყოფილების მაღაზია, ირაკლის ქ. № 10 (სომხის ბაზარი).

ALL-RUSSIAN COOPERATIVE SOCIETY, LIMITED

ARKOS

Lyndon E. C z Sowiet Nouse, 49, Mooraqafe Constantinopol, Rue Voivoda, Kapakouy Nan.

არკოსი ერთად ერთი კონტრაგენტია რუსულ საყიდრო დელეგაციისა **ინგლისში და ოსმალეთში**

მიიღება მთავრობისაგან დაწესებულებათაგან, კოოპერატივებისაგან, ტრესტებისაგან ყოველ მონდობილობანი და კომისიები საექსპორტო საქონელის რეალიზაციისა და სყიდვაში

გამგეობა ლონდონში. განყ. რომი, ბერლინი, ნიუ-ორკი, სტამბოლი.

წარმომადგენლობა საქართველოში

ტფილისი—მადათოვის ქ. № 11 ოთახი № 16 (დროებით)
ბათუმი—მარინის ქ. № 49 (დროებით)

ახალ საზღვართან

არის ერთი პოპულიარი და მოდის თემა; კრიზისი. ანდრეი ბელიმ სამი მონოგრაფიით გამოიტანა სამი კრიზისი: „სიეოცხლის“ „პოეზის“ „მეცნიერების“ შეპენგლერმა მთელ დასავლეთ ევროპას უწინასწარმეტყველა კულტურის დაღუპვა. პოპულიარულია ჩვენშიც ეს პრობლემა. იგი არ აფიქრებს მხოლოდ თვით ქმაყოფილებს

არის ძიება, წვა, არის დაეჭვება, ჩაფიქრება: ავთმყოფური ცქერა სამყაროზე საქართველოში თუ არის შესაძლებელი საერთოდ, მხოლოდ სიმბოლიზმის კრიზისზე შეიძლება ლაპარაკი. სხვა შკოლა ლიტერატურული, ჩამოსხმული ორგანიულად და დისციპლინით არ არსებობს მათ დიდი ხანია კრიზისის აგონიაში ნახეს სიკვდილი. თუ არის კრიზისი საერთოდ, არის საბოლოო თუ დროული. მოჭრილია გზები მიმავლნი შორეულ ნიპირებისაკენ, თუ არის შესვენება, „გადაფასება ღირებულების“, ძიება ბილიკების უვლელის და ახალის. უეჭველია ერთი: სიმბოლიზმა განიცადა კრიზისი ევროპაში და შემდეგ რუსეთში. არის მეორე ჭეშმარიტება: მოვლენამ იცვალა ფერი. ნივთი სხვა ხაზებით არის მოვლებული და სხვა გვარად წაოლილი და წამახვილებული. ქცეულია მისი ფორმა შინაგანი თუ გარეგანი. სხვაა ასპექტი, რომელშიაც იგი იხედვის. დაირღვა ძალა ბუნების ეროსი. დარჩა მხოლოდ ქიმიური ატომი: მატერია-ფანტული გაჭრა სული არ არის ყნოსვა მიღმა არსებულის. ნივთი დაიშალა. პოეზია ხატი მეორე სახის-მოვლენის ამ ნიშნის ქვეშაა. პირველი დაშლის ბოლო ბოდღერმა აუშვა. ეს ზოგადი ხაზი სერთო ფონზე.

სიმბოლიზმი, როგორც მთლიანი კულტურული მოვლენა (ესთეტიკა, რელიგია, მსოფლმხედველობა ამ ფსიქიურ კატაკლიზმს, განიცდის. რამდენათ ძლეული იქნება ნივთის გრიმასი და ნახული ეროსი—ეპიფენომენი.

ავათმყოფობა დროულია და სულიერ კრიზისის პულსაციით გამტყდარ ქაოსში იხედება მომავალი მისტიურ თავდადების კულტით.

პროცესი გაიარა სიმბოლიზმა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში.

პირველად სიმბოლიზმის კრიზისის რკალში გაიშალა; ეპიგონიზმი და დოგმატიზმი.

აკმეიზმი, ნეოაკმეიზმი, სეიენტიზმი, ფუტურიზმი ადრინდელი და ნეოფუტურიზმი, ცენტროფუგისტები, იმაკინიზმი, დადაიზმი და მრავალი „იზმი“ ქაოტიური ლანდშაფტია მოვლებული კრიზისის ბაცილებით.

საქართველოში თუ შეიძლება ითქვას, სიმბოლიზმის შეფერხებამ ეპიგონიზმში იჩინა სახე.

ვართ ახალ ხაზთან. უნდა გაირღვეს რკალი სიმბოლიზმი დასავლეთ ევროპაში და შემდეგ რუსეთში იცის პერიოდი: რევოლიუციური—კადნიერი, და გაერმავებითი შიგნით პირველი გატაცება გავლილია.

წინ არის პერიოდი გაშლის გორიზონტალურად და დასვლის ძირამდე.

საქართველოში სიმბოლიზმში მოცემული ერთი ფორმა-წმინდა ესთეტიური უმეტესად, გაკვრით სინთეტიური. უფრო ფორმალური მხარე ვიდრე იდეური მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენში სიმბოლიზმა ადვილად და თითქმის უბრძოლველად მიიღო პოზიციები მოპირდაპირის.

პოეზიის მიზანია თვისება არა საგნის, არამედ გადმოცემა სიმბოლოთი და ანალოგიებით განცდის, რომელსაც იძლევა იდეია მომწყვდეული საგანში (მალარმეს ესთეტიკა) ირრაციონალური გადადის რეალურში. პოეტურ შემოქმედებას, რომელიც არის გამოწვევა სამყაროსი, შეუძლია აზიაროს შემოქმედი მსოფლშენების იდუმალებას.

უკანასკნელის მიზანია ხილვა „პირველი სიმბოლოსი“, მიუხედავათ იმისა თუ რაში გაიხსნება სახე მისი. აქედან მოდის ახალი იდუმალება, ახალი რელიგია და შექმნა შინაგან საყაროსი. პოეტური მზერა გადადის წინასწარმეტყველებაში, მარადისობის ხილვაში. ხდება შეუღლება ესთეტიურ დოკტრინების და მსოფლიო გზნების. პოეტ სიმბოლისტში იმარჯვების ქმედითი ენერგია, რომელიც ეძიებს სამყაროს სულს, მისტიურ საწყისს. ამ გზით მოდის სიმბოლიზმი დასავლეთ ევროპაში და რუსეთში.

ანდრეი ბელიმ კრიზისი სინთეტიურ სიმბოლიზმით მოღუნა. ესესტატიურ მზერაში დაინახა მისტიური სახე სამყაროსი. პოეზია მისი გადადის ქაოგეზაში.

ვიაჩესლავ ივანოვის სიმბოლიური შეტყველება გამახვილებული მისტიკით გადადის თეურგიაში და ახალ რელიგიურ პათოსში. აქედან მოდის მისი სწავლა კატოლიურ ქმედობაზე. „პირველი სიმბოლო“ მითოსში იხილა.

ალექსანდრ ბლოკ პეტერბურგის ნისლში და ჯოობის ხვეულში ეძიებდა მარად ქალურს, ღვთიურს „უცნობის“ სახით. ედგარ პოე პირველი სიმბოლისტი იყო მისტიკი და მეტაფიზიკოსი.

შარლ ბოდლერი, რომელმაც ბოროტების ყვავილებით მოშხამა ატმოსფერა და „სული გაუყო კეთილს და ბოროტებას“ დამწეარი იყო კათოლიკური ტემპერამენტით. მისი პოეზია მისტიური თავდადებაა დასული ტრაგიულ წვეთამდე.

ჰიუსმანსი ამავე კათოლიკური ესენციით და ძმარით არის დაწურული. იგი საშუალო საუკუნეთა ასკეტიზმით იყო ამღერებული. წმინდა მარიამის მისტიკით არის ატარებული პოლ ვერლენის ლირიკა. მისი ყოველი ლექსი ლოცვაა მზურვალე მარტვილი ბერის. სახე უზენაესი და სიმბოლო მისი პოეტური შემოქმედების არის მადონნა.

ვერჰარნი, რომელიც ბაბილონის მეძავს თანაცოროულ ქალაქში მზერდა, სავსეა კატასტროფიულ მოლოდინით. მისი ქალაქები ესხატოლოგურია იმ თავითვე.

მისტიურ ხილვით და გზნებით არის სურნელოვანი პოეზია დანტესი და გოეტესი. საქართველოში სიმბოლიზმმა უკანასკნელად მოგვეცა დასრულებული პოეტური ქმნილებანი „ტფილისის ხერხემალი“ და „ცხენი ანგელოსით“ ამიტომ მის კრიზისზე ლაპარაკი ნაადრევია წინ. იგივე პროცესია გასაელი რაც ევროპაში: ესთეტიურ დოგმატიზმიდან სინთეტიურ წინხილვისაკენ. ამას ხელს უწყობს საერთო მიზეზები: ტეზისი იწვევს ანტიტეზის. მატერიალისტურ მსოფლ მხედველობას მოყვება გაძლიერება მისტიციზმის, ოკულტიზმის და მეტაფიზიკის უფრორე.

უსრული (ვალება მოვლენათა ბწვევს სურვილს წმინდა მონუმენტალურ და გარმონიულ ხაზების ხილვისას.

მისტიკრია: სწრაფვა სულის პირველ სუბსტრატისაკენ, ჭვრეტა მსოფლ შენების იდუმალებისა. განწყობილება სულის, როდესაც იბმება კავშირი უშუალო დაკარგულ ღმერთან, მყარდება სულში ტაძარი ოხილავი და შეხება აბსოლუტის. აქ იწყება თვით უარყოფა და სიმეოლიკა თავდადების: ახალი პიროვნება და მოცეკეული რელიგიის.

გრ. რობაქიძემ ქართულ პოეზიას სამართლიანად ფენომენალური უწოდა და ამაში დაინახა მისი საშიშროება.

ოდნავი შესწორება ჩემი ფიქრით: თვით რობაქიძის პოეზია, განსაკუთრებით მისტერია—დრამა „ლონდა,“ რომელიც მოდის სინთეტიურ ათვისებით და რომელშიაც მოკეცებული მისტიურ ი თავდადება და რაინდული მსაბუტება კულტის—ეროსის;
პაოლო იაშვილის მისტერია მზის და უკანასკნელად ხიღვა „ხახულის ღვთის მშობლის;“ ვალ. გაფრინდაშვილის ორეულის მისტიკა და ტიკინან ტაბიძის პირველდელი რომანტიზმი, (ქალდეას ქალაქები) რომელიც ცხელია წარმართულ ლოცვით—ბადაზვეევა ფენომენალურ ხაზიდან. მისი ღერბი ტაძარია ეზოში ატუზული დაღვრემილად.
ვფიქრობ ამ მისტერიულ გზას გაიკლის სიმბოლისტური შკოლა ჩვენში.
გრ. რობაქიძე სწერს „ჯვარი ვაზისას“ მისტერიის სიმფონიურ ფერებით მეტყველს. დაიწყება ძიება მარად სიმბოლისა.“ უკანასკნელის როგორც ირრაციონალურის განცდა რეალურია მეტად. ამიტომ ნამდვილი სიმბოლოზმი რეალისტურია მხოლოდ. სხვა რა სიხეს მიიღებს სიმბოლო მარადი.

საქართველოში არის ორი კულტი ძველთაგანვე მომდინარე: თეთრი გიორგის და ღვთის შშობლის. მარად ვაჟურის და ქალურის მარად. პირველი ერიბია ქართული პოეზიის.

საქართველო კი ქალურია უფროდ თავისი ლაკვარდი და ღია ხაზებით. ღვთისშობლის ხატი: უზენაესი—reafosa. ეროსი ხატისადი (ლიკ) როგორც განცდა ესთეტიური არის საზღვარი ახალი რომელთანაც ახლო დადგება ქართული პოეზია. ამ მოხდება შეხვედრა წმინდა ესთატიურ ფორმალიზმის და ეკსტატიურ ხიღვის დაკარგულ ღვერთისა.

შალვა აფხაიძე.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ

8 ივლისს მოსკოვიდან დაბრუნდა სახალხო განათლების კომისარი დავით კანდელაკი. მოსკოვშ ყოფნის დროს, რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატთან შეთანხმებით. მან დაათვალა რუსეთიდან ქართული სიძველეების ჩამოტანის საქმე. ამ მხრივ მისი ღვაწლი პირდაპირ დაუფასებელია და ქართველი ერისგან უსათუოდ უდიდესი მადლობა ეკუთხნის.

17 ივნისს, სიძველეთა ცნობამი მოსაყვანად და ჩამოსატანად მოსკოვში მიემგზავრებიან პროფ. კორენტი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა. აქვე მოგყვავს რუსე თში გამოტანილ ქართული სიძველეების სია, რომელიც ამოღებულია მოკლედ პავლე ინგორაყვას მოხსენებიდან:

აზიის მუზეუმის სამეცნიერო აკადემია

ამ მოთავსებულია ძვირფასი კოლექციია ძველი მონუსკრიპტების, ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების. ამ კოლექციის საფუძველს შეადგენს ბიბლიოთეკა ბატონიშვილის თეიმურაზისა (1782—1846) გიორგი XIII ძის. ეს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა საქართველოს სამეფო სახლის წევრთა საუფლისწულო ქონებას. თეიმურაზი ითვლებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემის საპატიო წევრად და 1848 წ. აკადემიკოს მარი ბროსეს რჩევით თეიმურაზმა ეს ბიბლიოთეკა დადასკა უსასყიდლოთ სამეცნიერო აკადემის. მანუსკრიპტების ამ ძვირფულ კოლექციას შეეძატა სხვა ქართული ხელთნაწერები გატანილი როგორც საქართველოდან, ისე საქართველოს გარეთ მდებარე ძველი ქართული მონასტრებიდან. (მაგ. იერუსალიმის ჯვარის ძველი ქართული მონასტრის ბიბლიოთეკიდან, XI—XIII-ს).

პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკა

აქ მოთავსებულია მდიდარი კოლექციია ქართული მონუსკრიპტებისა, რომელთაგან უძველესი ხელთნაწერები VII—IX საუკ. ეკუთნის. ამ კოლექციის საფუძველია ბიბლიოთეკა ქართველი უფლისწულის ივანე ვრიგორლის-ძე გურეხნისკისა. გურეხნისკის კრება შეიცავს 361 ხელნაწერს, (ამათ შორის ტბეთის სახარება 995 წ. საუცხოო სურათებით შემკული) 76 სხვა და სხვა აქტებს და ავტოგრაფებს, და 101 ძველ ნახეჭდ წიგნს, სულ 538 ნომერს. 1880 წ. ივანე გრუზინსკიმ ეს ბიბლიოთეკა გადასცა დასაცავად საჭირო ბიბლიოთეკას უსასყიდლოთ.

ამ ძირეულ კოლექციას შემატა სხვა ძველი ქართული ხელთნაწერები გატანელი ქართული მონასტრებიდან და სიძველეთა საცავებიდან-როგორც მაგ: ძველი ქართული სასულიერო საგალობელთა წიგნი, გადაწერილი პეტრეგამენტსა და პაპირუსზე, VIII—IX საუკ. წაღებული ეგ. პოროფირის მიერ იერუსალიმს ჯვარის მონასტრიდან, ორი ფურცელი ფსალმუნისა, გადაწერილი პაპირუსზე, VII საუკ. წაღებული სინაის მთის ეკატერინეს ძველი მონასტრის ბიბლიოთეკიდან; ფიზუნდის სახარება ბიუზანთიის საკათალიკოზო ტაძრიდან: განსაკუთრებით შესანიშნავი სახარება სამეგრელოს მთავრების დადიანების წიგნთ-საცავებიდან, ქართულ-ბერძნული ტექსტი შემკული საუცხოო მინიატიურთ სხ.

პეტროგრადის სხვა სიძველეთ-საცავები

ქართული სიძველები დაცულია პეტროგრადში სხვა ადგილებშეც, სტროგნოვის მუზეუმში ინახება ბელათის სახარების შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებული ყდა, გატაცებული გენგეგენინატორის ლევაშვის მიერ. სახათორო სასახლეში: ჯვარი, სანაწილე, მინიატიურული სახარება. ქართული ხელნაწერია დაცული აგრედვე პეტროგრადის სასულიერო აკადემის ბიბლიოთეკაში. საადმირალეო მუზეუმში ინახება იარაღები ქართულ წარწერებით (სხვათა შორის ორი ზარბაზანი რაჭის ერისთავის როსტომის 1756 წ. თარიღით.)

აგრეთვე: სინოდის ბიბლიოთეკასა და არქივში,

ალექსანდრე მესამისა და შტიგლიცის მუზეუმებში და საგიურ ლევაშოვში. (ფიზეთის რკინის გზა.) ლევაშოვების კარის ეკლესიაში ინახება ქართული ნიკობი (გვარგვინები და სხვა.) გატანილი გენ. გუბ. ლევაშვის მიერ.

იარაღების პალატა

იარაღების პალატაში დაცულია: 1) საქართველოს მეფეთა გვარგვინები: დავითი ნარინის გვარგვინი წარწერით XIII ს.; არჩილ მეფის გვარგვინი XVIII ერეკლე მეფის გვარგვინი, საყდარი, ტახტი და სხვა ქართული სიძველენი, უთავოესად იარაღები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივი.

აქ მოთავსებულია: ორგინალი 1783 წ. დადებულ ხელშეკრულობისა საქართველოსა და რუსეთს შორის ქართული დედნები გარმატებისა და სხვა ისტორიული საბუთების ქართული მანუსკრიპტები, მათ შორის ძველი ხელ ნაწერი ზოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანის“ აგრეთვე მონუსკრიპტები ბატონიშვილი დავით ბაგრატის ძის გრუზნსკის კოლექციიდან.

სურათები. მათ შორის დავით ბაგრატის-ძის გრუზნსკის კოლექციია (გადასული 1888 წელს) სულ 20 სურათი; ა) აკვარელის სურათები ქართველი მეფეების და ბატონიშვილების. ბ) პარტრეტი ირაკლი II, გიორგი XIII და სხ.; გ) სურათი რუსთაველის.

რუმიანცევის მუზეუმი

აქ დაცულია მანუსკრიპტების ხუთმეტიოდე ნომერი. მათ შორის საყურადღებოა ვარიანტი „ქართლის ცხოვრებისა“ თეიმურაზის ბიბლიოთეკიდან.

ქართულ სიძველეები დაცულია აგრეთვე მოსკოვის სხვა სიძველეთ საცავებში: სპასტრიარქო სალარონში, ისტორიულ მუზეუმში, მოსკოვის მიძინების ტაძარის სალარონში, მოსკოვის დონის მონასტერში, მოსკოვის სინოდალურ სტამბაში სინოდალურ ბიბლიოთეკაში, ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტში, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალ არქივში.

მოსკოვის სობოროს საუნჯეში არის სამსჯველის ბუდე, წარწერით: „მეფე ყოველისა საქართველოისა დავით-ძე რუსეთანისა აღმშენებელი წმინდისა სამსჯველისა სასვენებლისა ამის“.

კ ი ე ვ ი

კიევის, მოვიმის, ლავრის, სალარონში დაცულია: მიტრა და ანტიმინსი იმერეთის კათალიკოზის მაჭმიმესი, კიევის სასულიერო აკადემის მუზეუმში დაცულია ქართული ხატები 10 ცალი; ენქერი, ირაგვის ერისთვის რევაზის ასულის მარიმის წარწერით. საეკლესიო საარქელოგიო მუზეუმის ბიბლიოთეკაში: მეათე საუკ. ქართული ხატები სინას მთის მონასტრიდან და დოკუმენტები ქართული შთამამ ავიოანისა. სოფიის ტაძარში საპატრიაქო ომფორი არჩილ II-ს ბრძანებით დამზადებული.

ლივადია (ყირიმი)

სასახლის კარის ეკლესიაში დაცული ქართული ხელოვნების უშესანიშნავესი ეგზემპლარი—მინაქრის ხატი ღვთისმშობლისა, გატანილი სოინიდან:

ქართული სიძველეები რუსეთის სხვა ქალაქებში

ქართული სიძველეები გარდა ზემოხსენებულ ადგილებისა დაცულია აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქებში, სადაც სცხოვრობენ: საქართველოს სამეფო სახლის წევრნი- ეს ადგილებია:

ნიჟნი-ნოვგოროდი. (ლისკოვო, კაპუშინი, ტერიუშევო) აქ სცხოვრობდა ვახტანგ VI შთამამავლობა.

ბატონიშვილები: ბაქარ, ლეონ, ალექსანდრე, იაგორ, აქვე სცხოვრობდა საქართველოდან 1811 წ. გადასახლებული ანტონ II კათალიკოზი. ასტრახანში აქ ცხოვრობდენ მეფეები: ვახტანგ VI და თეიმურიზ II ისინი აქვე დასაფლავდენ.

ვორონეჟი. აქ სცხოვრობდა საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ.

ტულა. აქ სცხოვრობდენ საქართველოდან გადასახლებული ბატონიშვილები.

ტობოლსკი. აქ ინახება ქართული გარდამოხსნა.

ბელოგოიეკსკი. აქ დაიდო ხელშეკრულება 1783 წ. საქართველო-რუსეთ შორის და ქართული სიძველეებიც ამ დროიდან მოგროვდა ამ პუნქტში.

ყაზანი. აქ ინახება ვახუშტის ქარტები.

პოლტავა. პოლტავის გუბერნიაში იყო ქართული კალონიები, რომლებიც დაარსა ვახტანგ VI-ესთან გადასახლებულ ქართველ თავად-აზნაურობამ. პროლუკის მაზრაში ორმოცდაათი წელი ცხოვრობდა პოეტი დავით გურამიშვილი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოეტსს, სადაც იყო კალონია ქართველ მეურნეებმ. აქ სცხოვრობდა გეოგრაფი ვახუშტიც.

ყველა ეს სიძველეები ადგილობრივ უნდა გამოირკვეოს კომისიამ, რადგან ყველა მათგანი არ არის სათითაოდ ცნობაში მოყვანილი.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

პავლე ინგოროყვას მოხსენება.

ივლისის 16, საღამოს 9 საათზე ხელოვნების სასახლეში ახალი მწერლობის კავშირის სხდომაზე პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას:

„ჰერეთის ქართულის დიალექტიზმები ვეფხის ტყაოსანში“.

კრებაზე დასწრება შეუძლია მხოლოდ საგანგებო ბარათებით მოწვეულთ.

ქართული პოეტები რუსულად. მოსკოვის და ბერლინის გამომცემლობას გელიკონს განზრახული აქვს გამოსცეს რუსულად ქართულ პოეტების ლექსების თარგმანები. წიგნში იმ ლექსების გარდა რომელიც შედის ნიკოლო მაწიშვილის წიგნი „Поэты Грузии“ იქნება აგრეთვე ახალი ლექსები. ამ წიგნის გამოცემას ხელმძღვანელობს გიორგი ლორთქიფანიძე.

მოქანდაკე ი. ნიკოლაძის იუბილეესთვის. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს წელს ოქტომბერში უსრულდება 25 წლეულწადი რაც პირველად გამოაფინა „დიდების ტაძარში“ მხატვრების გამოფენაზე 1897 წელს ოქტომბერში ზოთა რუსთაველის მთელი ფიგურის ქანდაკებაა. ამის შემდეგ იაკობ ნიკოლაძე მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთად ერთი მოქანდაკე იყო საქართველოში და დაუზოგავადაც მუშაობდა. დღეს ის მოწვეულია საქართველოს სამხატერო აკადემიის პროფესორად. ქართველ ხელოვანთა წრეში დაიბადა აზრი, რომ ოქტომბერში ბ-ნ იაკობ ნიკოლაძეს იუბილე მოეწყოს, რომელსაც ექნება ეროვნული ხასიათი- ამ დღისთვის მზადდება წიგნი, რადაც დაფასებული იქნება პატივცემული მოქანდაკის მთელი მხატრული მოღვაწეობა და აგრეთვე შეკრებილი იქნება, რაც მას აქამდე უმუშავია ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა მთელი რიგი წერილების ი. ნიკოლაძის შემოქმედებაზე და აგრეთვე მოქანდაკის მოგონება ოგიუსტ როდენის შესახებ, რომელთანაც ჰარიზში ის დიდხანს სწავლობდა.

ანატოლი ლუნაჩარსკი ტფილისში. ავვისტოში ტფილისში ჩამოვა რუსეთის განათლების სახალხო კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი. ლუნაჩარსკის განზრახული აქვს ტფილისში წაიკითხოს მთელი რიგი ლექციების განათლების და ხელოვნების საკითხებზე.

რუსული წიგნი ნ. ბარათაშვილზე. რუსეთის სახალხო განათლების კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი სწერს ნ. ბარათაშვილზე. ნ. ბარათაშვილს ა. ლუნაჩარსკი გაეცნო იმ წიგნით, რომელიც ეხლახან გამოიცა რუსულად სახელმწიფო გამომცემლობაში პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილის თარგმანით და რედაქციით.

ქართულ ყურნალ-გაზეთების კოლექციის შეძენა

სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე მწიგნობარი ვ. გადილისაგან ყურნალ გაზეთების კოლექციის შეძენისათვის 60.000 მანეთის გადების შესახებ.

შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. შეძენილი კოლექციია გადაეცემა საქართველოს მუზეუმს.

კოლექციაში წარმოდგენილია მთელი ქართული პრესა სერგეი მესხის დროიბიდან და დაცულია მთელი მარქსისტული ლიტერატურა.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ

პოეტი ვ. ხლებნიკოვის გარდაცვალება. 28. ივლისს ს. სანტალოვში (ნოვგორ. გუბ.) დამშლით გარდაიცვალა რუსულ ფუტურიზმის ბელადი და პოეტი ველემირ ხლებნიკოვი.

„დადა“

სოციალისტურ ორგანო „Journal du Pouple“ ში დაბეჭდილია წერილი დადაისტის რ. დსუსენი, რომელიც ამტკიცებს პოლიტიკურ რევოლიუციონერების რეტროგრადობას და „დ ა დ ა“ ზოგად რევოლიუციურ როლს.

„ბა“ ს აღკრძალვა

უნგრეთში ხორტის მთავრობამ აღკრძალა ვენაში ახალგაზდა უნგრელ პოეტების და ჩხატერების ჟურნალ „ბა„ ს შემოტანა. ცენზურა იქერს სოციალისტურ ლიტერატურასთან ერთად თვით კუბისტურ სურათების რეპროლუქციებს.

საერთაშორისო კონგრესი

პარიზში შესდგა საერთაშორისო კონგრესი თანამედროვე სულის დასაცავად დირექტივების შესამუშავებლად.

კომიტეტის შემადგენლობა: ჟორჟ ორიკ—კომპოზიტორი; ანდრე ბრეტონ, „Litterature“ რედაქტორი; რობერტ დედონნე, მხატვარი; ფერნად ლეჟე, მხატვარი, ბეიდე ოზონფონ, რედაქტორი „Esprnt Nouvcau“ ონ პოლინი, რეჟე ვიტრან რედაქტორი „Aveture“ და სხ.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲜᲐ ᲐᲜᲗᲝᲜᲘᲗ

I

ღრმა წარსულისკენ მიმაქანებს ცხელი ანთება.
მაწვდის ბერი დრო აკლდამების მძიმე გასაღებს.
ათასნაირი სანახავი შინ მებანდება,
მაგრამ ვერცერთი ჩემს წინაშე თავს ვერ ასაღებს.

გზაზე სივრცენი მეშლებიან ლურჯ კამარებად,
და აღარ ვიცი დასასრული სადმე თუ არი.
ბრძოლებს უთვალავს და უთვალავ დასამარებას
მძლავრად დასხლტილ შურდულივით გადაუარე.

ძვირფას ელადას ვეხეტმრები მე უწინარეს.
ღმერთების მაღალ საბრძანებელს ვხედავ ადრევე
თავს წასდგომან სატირები ნიმფეს მძინარეს,
და ციკლოპები უზარმაზარ ქვებს, დაათრევენ.

ჰყვავეს ატიკა, ბეოტია და არკადია;
შუქთა კასკადებს ხელგაშლილად აფრქვევს ველიოს.
თეთრი ჯოგები მიხდვრებიდან აღარ გდიან,
აგრამ არგუნი როდი უშვებს იმთაკენ ოის.

ოუპიტერი გადმომდგარა ოლიმპის სერზე;
ხიბლავს მიწაზე ეხლა იმის სულ სხვა ასული:
მალე ევროპა გაქენებულ ხარის კისერზე
დაეკიდება ფერმიხდილი და გულწასული.

ენახე ჰომეროს, ჰესიოდი, საფო, პინდარი,
აკროპოლისი და პალადას ძეგელი დიადი.
უხმობს სალამინს მარათონის მწვანე მინდორი
და ხმლებს ლესავენ ოემისტოკლე და მილტიადი.

შეფფურ დიდებით შემოსილა დინჯი პერიკლეს,
პროპილეოსის ბრწყინვალებამ ყველა მოხიბლა.
მაგრამ ფიდიოს საეარაყოდ ოქროს ვერ იკლებს
და ყრუ დემოსი ემზადება ასამბოხებლად.

განწირულ მხარეს არაფერი ჰრ ეშველება,
და სასიკვდილო შემოედო მას უცებ ალი;
სიგრძით სიგრძემდე ის უღმერთოდ გაითელება.
მაკედონელის ფალანგებით და ბუცეფალით.

ღედოფალივით ასვენია მკვდარი ელადა,
სული დალია მან ტარიელით და მედარებით.
რომი ველური წინ წამოდგა ქვეყნის ბელადად,
და დაიფარა დედამიწა შუბის ტარებით.

ისმის ჭიხვინი მკერდგაქაფულ ულაყ ცხენების;
ზეცა დაბნელდა ლეგიონთა ამოძრავებით.
მეფეთ—მეფეებს ეშინიათ გადაყენების
და სატრაპები აცახცახდენ, როგორც კრავები.

ცხვირმაღალ სარდალს გასაქანი აღარსადაქვს.
სწყალობს რომის ხმალს ხან სიმკვეთრე და ხან იღბალი.
ეულმოსულ სენატს ბრძოლის ცეცხლი ზღვაზე გადაკქვს.
და დაიღუპენ კართაგენი და ჰანიბალი.

ვხედავ, მზესავით გამობრწყინდა რომის დიდება,
მაგრამ ის თავის ნეტარებას შუამში ატარებს.
მას არ აშინებს ბედისწერის გადაკიდება
და აღტაცებით ეგებენ ტრიუმფატორებს,

უკვე ელავენ ბნელ ღამეში ბასრი დანები,
მძიმე ლალატით კეისრების გზა გალიპულა.
აეზნიანობის და სიგიჟის ჩირაღდნებით
ტახტზე ადიან მესალინა და კალიგულა.

შავი მონები გადარბიან ჩუმად ყანებში,
გარყვნილ ვესტალეებს სამსხვერპლოზე ცეცხლი უქრებათ.
თეთრი სასახლის ბრმარილოს დერეფანებში
მთვრალი ნერონი ცაბარბაცობს და იმუქრება.

ის ცოდვილია და უმანკო ვით მონაზონი,
და სახე მისი ნაღვლიანი ჰგავს ელეგიას.
დატყვევებული წაიყვანეს სადღაც ხაზონი,
და დასასხლელად მას არავინ მიშველებია.

გადააცილეს ის ზორეულ, ზღაპრულ ღუნაის...
კაპიტოლიუმს თუ ოგონებს თვალ დასვეულებით!
ალბად დარღისგან წელში უკვე მოიღუნა ის
და დასცინინან მას სარმატნი და ბასელები...

მოვქრი და უკან გაქვავებულს ეტოვებ სადგურებს.
ოფლმა დამასხა და თვალები გამოვახილე,
მაგრამ ჯერ ისევ გაოცებულ სულს მინადგურებს
საუკუნეთა საშინელი გამოძახილი.

II

ეგრძნობ ჰირისუფალ მანდილოსნებს თავებ დახრილებს,
სწუხან, რომ ვერსად ეშველებ უშვიათ ჩემი წამალი.
ვიცი რომ ჩემ შუბლს ვერაფერი ვერ გაგრილებს,
და ჩრდილოეთის პოლიუსზე ვავრნდი ფრთამალი.

თვალუწვდენ ზეწრად გადმშალა ველი ტრიალი.
სუნთქავ შემეკო, შეეხუთე და ვინისლები.
უიმედობა და სიჩუმე უხმო შრიალით
წინ შემეგებენ, ვით სამეფოს დარბაისლები.

ნელა ამოდის ცივი მთვარე უზარმაზარი,
ყინვის კონცხებზე ძლივს მუცელი გადმოათრია.
მკვდარი უდაბნო გაიზმორა, როგორც ლაზარე,
მაგრამ ჯერ მისი გაცოცხლება კიდევ ადრეა.

თეთრი დათვები—ყინულეთის სენატორები—
წამოყენტნტულან და კისრები წამოუწვდიათ;
აუწერეიათ საღოცავად წინა ტორები
და ვარსკვლავების ჩამოვარდნას ჩუმად უცდიან.

ვიდრე ელინი ჭაბუკია ღვინოს ვერ დალეგს,
ალკიციადე კი ქეიფობს გათენებამდი.
ისევრის სიტყვებად დემოსთენე ცხელ ნაღვერდლებს,
მაგრამ ერეკა მას კამათში ტლანქი დემანდი.

მაგრამ მე გული ამითრთოლდა სულ სხვა ჩვენებით,—
ლანდი ძვირფასი ისახება ბროლის მინაზე:
მოდის კორინა თავდახრილი დაღლილ შვენებით
და კაბის კალთებს მტვერს არიდებს ღვთიურ სინაზით,

ცას შეუთვალა დედამიწამ თავის ჩივილი,
მაგრამ ორკეცი დაუბრუნდა უკან მასავე.
ჰაერში ბატი შეიკუშმა სუსტი ეკვილით
და მოწყვეტილი ძირს დავარდა მძიმე ქვასავით.

ᲓᲘᲐ

I

დიას ალერსი

გაზაფხულზე ჩემი დია,
ვიდრე სხვა დროს, დიადია!
ყვავილებით მოკაზმულსა,
სიყვარულის დედოფალსა
ფერხთით ფლოსტი გაუხდია!
უალერსებს ჩემს ძველ წყლულსა
არ მაშორებს თვალით თვალსა.
სანატრელი, კოხტა დია!
ჩემთან მოდის ბინდის ჟამსა.
არაკუნებს ჩუმად კარსა.
გალობს უცხო ხალობელს,
რაც ყრმის ᲯᲔᲠ არ გამიცდია.
ამ სოფლიურს მიქრობს დარდსა.
ნეკტარს მასმევს დამთრობელს
სატრფიალო ჩემი დია!

დიას განცხრომა.

ჩემკენ დახარა მან ერთხელ თავი.
გაშლილ თმის ტალღამ ორივ დაგვფარა.
წელზე მომხვია მთოლვარე მკლავი.
ხლვის ქაფი აგრე არ არის ნაზი
არც გარს ეხვევა ხეს უსურვაზი,—
როგორც ის ვნებით შემომეხვია,
ცელქი, თამამი, ნარნარი დია!

დიას სიზმარი

ჩემს ოთახში დიას სძინავს, ზედ ლეჩაქი ჰხურავს მუქი;
მოქნილ ტანს სიშიშვლისგან ეფინება ჩემს გულს შუქი.
გადავწიე მის თხელ საბურს, მძინარს თვალი გავუსწორე;
გაიღიმა, გაიღიმა და უსიტყვოდ ვეამბორე.

დიას სახე

ცხოვრებაა ჩემი დია: სოფლის ეშხი, სოფლის ვნება;
ზეციური სხვას დაუთმო, თვით არჩია მიწის შვება.
თუ დაუწყე საუბარი, რომ არსებობს ზეარსება,—
იგი ცეკვავს უდარდელად, ჩემს სიტყვაზე ეცინება:
მაინც მიყვარს ჩემი დია აგრეკ სიღრმით, ვით ოცნება;
ორ არსებას შეითვისებს ჩემი ერთი პიროვნება!
აღარ ვიცი, ამ ორს შორის აწ ვინ უფრო დიადია:—
უხილავი ჩემი ლტოლვა, თუ ხილული ნორჩი დია?!

დიას მეტოქე

ერთხელ ეტლით შორს წავედით: გვიმართავდენ დღესასულს
რა ვიცოდი, იქ იქმოდნენ ბოროტსა და ბნელს სასწაულს
ღვინის ნაცვლად მისცეს შხამი, მომიწამლეს საყვარელი;
შინ დავბრუნდით. დიამ მითხრა ეძიეო ჩემი მკვლელი!

დიას სიკვდილი

ახ, გზაში რარიგ იტანჯებოდა.
„მიშველე რამე“ მეხვეწებოდა.
ვერას ვშველოდი, გული მწყდებოდა.
ჩემს მკლავზე მწოლსა სული ჰხდებოდა.
ნაზის ხელებით ᲯᲔᲠᲘᲗ მეკერებოდა,
არ ჰსურდა ტურფას გამშორებოდა.
ო, დიავ! გუშინ მისთვის ჰხარობდი,
რომ ხვალ მზე აღარ გაგთენებოდა?
მან მითხრა:—ამას მე წინად ვგრძნობდი,
ᲔᲠᲗᲝ ჩემი ბედი შეშურდებოდა.

მკვლელი გამოტყდა

ჩემი დია მოსწყდა სოფელს, დღეს ვატარებ მისთვის შავებს;
მიწაამყოფი ᲯᲔᲚᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲕᲔᲚᲐᲠᲐᲤᲘᲡ დაშვებს!
მოუსვენრად აწ ᲕᲘᲢᲔᲠ ღამეს, დილით ვსდგები გულით მკვდარი,
თვალით ვეძებ ჩემს გოგონას, და ამაოდ—აღარ არი!
მარტოდ მყოფი გულში ᲕᲘᲢᲘᲠᲘ, არას აჩინს გარეულ სახე;
მსურს გავიგო, თუ ვინ უმტრო ვინ დაუგო მაᲯᲣᲜᲘᲡ მახე.
და ერთს დღესა ბარათს ვიღებ. მით დამატყდა თავსა ზარი;
ᲕᲘᲪᲐᲜ, ყოფილა დიას მკვლელი ქალი, მისივ მეგობარი!

ქიზიყი. **ᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲐᲠᲢᲣᲠ ᲚᲔᲚᲘᲡᲢᲘ.

წრეულს სრულდება სრული ორმოცი წელიწადი, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი მწერლობის ერთგული მეგობარი და გერმანელი ლიტერატორი არტურ ლელისტი.

ქართულ ლიტერატურაში მისი შემოყვანა ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველმა დაიინტერესა არტურ ლელისტი საქართველოთი საქართველოში ჩამოსვლიდან არ შეცვლილია მისი სიყვარული ქართულ კულტურისადმი და დღესაც, როცა არტურ ლელისტს უსრულდება ლიტერატურული ორმოცი წელიწადი, მისი უკანასკნელი წიგნი არის, წიგნი ქართველ მწერლებზე.

არტურ ლელისტ დაიბადა 1852 წ. 8 იელისს, ქ. ბრესლაუში, (სილეზია) სადაც მამა მისი იყო მასწავლებლად და გაზეთის თანამშრომლად. გიმნაზიის გათავების შემდეგ ორი წელიწადი ისმენდა იურისპრუდენციის ლექციებს. შემდეგ ერთი წელიწადი დაჰყო კრაკოვში, სადაც შეისწავლა პოლონეთის ლიტერატურა. აქ იგი ადგილობრივ გაზეთებში ათავსებდა ლექსებს პოლონურ ენაზე. მცირე ხანი დაჰყო ვარშავაშიც, აქ გაიცნო პოლონეთის მწერლები და სხვათა შორის ჰკენრიხ სენეკიანი,

1878 წ. მან დასტოვა ვარშავა და მასწავლებლად შეეკედლა ერთი პოლონელი მემამულის ოჯახს, ვოლინის გუბერნიაში. აქ ის ბევრ დროს პოულობდა სამეცადინოდ. აქ 6 წლის ყოფნაში მას ხელთ უვარდება მოდგწმტეტის წიგნები საქართველოზე. დაინტერესებული საქართველოთი, იგი მიწერ-მოწერას იწყობს „სამშობლოს“ ავტორ დავით ერისთავთან, რომელიც უგზავნის ლელისტს ქართულ წიგნებს და წიგნებს საქართველოზე.

ამ წიგნების შემწეობით მან შეისწავლა რა დაახლოებით ქართული ენა 1882 წ. ლაიპციგის ერთ ჟურნალში დასწერა წერილი „დავიწყებული ლიტერატურა,“ რამაც დიდი ყურადღება მიიქცია მკითხველების. მალე მან მიიღო წერილი ილია ჭავჭავაძისგან, რომელიც ურჩევდა, წამოსულიყო საქართველოში. მხოლოდ ორი წლის მერე 1884 წ. როცა რამდენიმე წერილი საქართველოზე უკვე დაბეჭდილი ჰქონდა გერმანულ ჟურნალებში, ის გამოემგზავრა თბილისს, სადაც დაჰყო ოთხი კვირა, აქედან ორი კვირა საგურამოში. ეს მოგზაურობა მან მოათავსა ჟურნალში და შემდეგ დაბეჭდა ცალკე წიგნად „Georgien“

1885 წ. არტურ ლელისტი გადმოსახლდა საქართველოში და სულ მალე გერმანულად გადათარგმნა: ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი რაფ. ერისთავი, მამია გურიელი და ბაჩანა. ეს თარგმანები ᲯᲔᲠ იბეჭდებოდა ცალკე გერმანულ ჟურნალებში, შემდეგ 1887 წ. ლეიპციგში მან გამოსცა კრებული „Georgiche Dichfer“ („ქართველი პოეტები.“) ამ წიგნმა გერმანიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ᲯᲔᲠ კიდევ 1866 წ. ილიას და ვანო მაჩაბლის დახმარებით ის შეუდგა „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნას გერმანულ ენაზე და სამი წლის შემდეგ დასრულა. ამა-სთანავე გერმანულ ჟურნალ გაზეთებში ის ათავსებდა თარგმნებს ქართველ პოეტებიდან. 1889 წ. მან დასტოვა საქართველო და მოიარა პოლონეთი, გერმანია და ავსტრია. მცირე ხანს ცხოვრობდა ფლორენციაში, რომში და 1892 წ. საბერძნეთზე და ოსმალეთზე გამოვლით კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

1891 წ. ავსტრიაში ძან დაბეჭდა დიდი მოთხრობა ქართული ცხოვრებიდან „ნინა კარაპანიძე„ რომელიც ვანო მაჩაბლის თარგმანით დაიბეჭდა „მოამბეში“ 1897 წ. 1900 წ. მან დრეზდენში დაბეჭდა „ქართველი პოეტები“ სამადლობელი წერილები მან მიიღო გერმანელების გარდა, ტოკიოდან, ჩეხიიდან, იტალიიდან, ნორვეგიიდან და სხვა. სწორედ მაშინ ქართული ლიტერატურა პირველად შეივდა „მსოფლიო ლიტერატურაში.“, 1904 წ. გამოსცა 324 გვ. წიგნი „ქართველი ხალხი“, რომელმაც სულ მალე ფართე მნიშვნელობა მოიპოვა. ამ წიგნზე ალაპარაკდა ფრანგული, იტალიური და ინგლისური პრესა. 1909 წ. დრეზდენში გამოსცა „მეზავრის დღიური“ რომელშიც ეხება ქართულ სინამდვილეს.

ახლა დამზადებულია ამ წიგნის მეორე გამოცემა დაშზადებულია მეორე გამოცემისათვის „ქართველი ხალხი,“ და მესამე გამოცემად „ქართველი პოეტები“ 1917—19 წ. არტურ ლეისტი ჰბეჭდავდა თავის ცნობილ მოგონებებს ილია ჭავჭავაძეზე. 1900—12 წ. ბერლინის ჟურნალში „Das lifeıariscle Echo„ პერიოდულათ ჰბეჭდავდა ქართული ლიტერატურაზე.

არტულ ლისტი ისევე გცნედ განაგრძობს მეშაობის და ამ ჟამად მას უკვე დამზადებული აქვს დადი ნაშრომი „ადამიანები და საგნები წინ აზიაზი.“ საცა საკმაოდ დახასიათებული საქართველო და ქართველობა.

იმეღია, ქართველი საზოგადოება გაიხსენება არტურ ლეისტს მთელი თავისი სიყვარული და საქართველოს მწერლობის ორივე კავშირებიც იზრუნებენ, რათა შესაფერისად იქნეს ეს დღე მოწყობილი.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ

ცნობილია, რომ ხალზში მეტად პოპულიარული გმირი—არსენა ოძელაშვილი მოკლეს მცხეთაში (მუხათგვერდის ტყეში—მეორმოცე წლებში) მცხეთელებმა გადმოასვენეს მისი გვამი და დამარხეს მტკვრის პირზე. შემდეგში ფუშელ კენელებმა დაადვეს საფლავის ქვა, რომელზედაც ამოჭრილია თითონ არსენა მთელი ტანით, ქვეშ ლექსის წარწერით. როგორც მცხეთელები, ისე სამხედრო გზის მოგზაურები თაყვანს სცემდენ ამ საფლავს.

დღეს კი, ბედის ირონიით, მისი საფლავი შიგ მოიტანა ამ ელექტრონის წისქვილმა, რომელიც გაიმართა მტკვრის მარცხენა კიდეზე. რასაკვირველია საფლავს ლოდი მოეცლება და ზედ იათაკი იქნება გამართული.

ხალხი მეტად სწუხს, რომ მისი საყვარელს გმირს ხვედრმა ასეთი წილი არგუნა.

მთაერობა მოვალეა, ათეული წლობით თავისუფლებისათვის, მებრძოლი გმირის არსენას ნეშტს მოეაროს დაწისქვილიდან სხვა ადგილზე გადაასვენოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲥᲕᲔᲚᲔᲜᲘ

მცხეთის ძეგლები

ჩვენი გაზეთის მცხეთელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მცხეთის სეტიცხოველი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. საკურთხეველის თაღი გამსკდარა და ᲧᲗᲘᲐ აფუძებს მხატვრობას. თითქმის ასევე მდგომარეობაშია სამთავრის მონასტრის მხატვრობაც. სანთალო ყურადღებას არის მოკლებული თვით ᲯᲯᲕᲐრის მონასტერიც.

იკორთის ᲬᲛ. მთავარანგელოზის მონასტერი

სოფ. ერედვიდან გვწერენ, რომ ქსანის ერისთავების საგვარეულო იკორთის ეკლესია, სადაც არიან დაკრძალულნი მოწმენი: ᲨᲐᲚᲕᲐ, ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ და ᲑᲘᲜᲘᲜ,—ოხრდება, რაც მისი ფართე გალავანი საქონლის ბაკად გადააქციეს.

ᲣᲯᲐᲠᲛᲘᲡ ᲡᲜᲔᲚᲘ

უჯარმაში, აღმოჩენილა გამოკვეთილი სენაკები. რომლებიც მოხატულია უძველესი მხატვრობით, ᲬᲛ. ნინოს ცხოვრებიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ტტუდია.

მოსკოვიდან ჩამოვიდა სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის გამგე და რეჟისორი მჭედლიშვილი. ივვისტოს პირველ რიცხვებში ჩამოვა თვით სტუდია და საოპერო თეატრში დადგამს რამდენიმე წარმოდგენას. შემდეგ ნომერში ჩვენ მოვთათავსებთ ბ-ნ მჭედლიშვილთან საუბარს მოსკოვის ტეატრებზე.

ფ. შალიაპინის ავადმყოფობა მომღერალი ფ. შალიაპინი მძიმედ ავად არის შაქრის ავადმყოფობით.

ია კარგარეთელმა ახალი რომანსები დასწერა. ამ ჟამად ის დიდ მუსიკალურ ნაწარმოებზე მუშაობს.

თამარ ცბიერი შემოდგომის სეზონზე დიდგმება მელიტონ ბალანჩივაძის პაიერა „თამარ ცბიერი“.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ვასილი ბარნოვი ხაზართა სასძლო. ისტორიული რომანი, თბილისი 1922 წ.

გამოვიდა დაფულალავი ვასილ ბარნოვის ახალი რომანი „ხაზართა სარძლო.“ რომანის ფონია მერვე საუკუნე—არაბთა ბატონობა საქართველოში. არაბები იქერენ მთელს საქართველოს პონტოსისწინაპირებით. ბიზანტია შეკუმშულია. იგი სტოვებს საქართველოს, რომელიც ეძებეა სარანიცების მახვილს. არაბები მიდიან დარიალამდე, მაგრამ აქ ჰხვდებათ ძლიერი ხაზარეთი, რომელიც არაბთა წინაღმდეგ ბრძოლისათვის ეძახს საქართველოს ორიენტაციას. ხაზარეთის ხაკანი თაოულობს დედოფლად წმ. არილის უმფროსს ასულს ᲨᲣᲨᲐᲜᲘ. ფანატიკური ქრისტიანეზმი უარს ათქმევინებს ᲨᲣᲨᲐᲜᲘ. ხაკანი გზავნის სარდალს ბდეჩანს, რომელიც მოიტაცებს ᲨᲣᲨᲐᲜᲘ ლაკასტის ციხიდან მაგრამ დარიალში, საქართველოს საზღვრებზე, ᲨᲣᲨᲐᲜᲘ თავს იწამლავს. რომანში არის მთელი ეპოქა გადმოცემული დიდი დაკვირვებით და ოსტატობით. რომანი შეიცავს 120 გვერდს და ღირს 80.000 მანეთი.

გაᲨᲘᲨᲕᲘᲐᲗ მკვდარ მელიებს თავი და ტანი
და სიცივისგან ხელმეორედ იხოცებიან.
აგერ ᲚᲣᲜᲯ ყინულს, ქარისაგან გადმოტანი,
ემილ ᲕᲔᲠᲰᲐᲠᲜᲘᲡ ულვაშები მიჰკოსებია.

ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ დამარხულ ოკეანეს ახრჩობს ხმელეთი,
მაგრამ ვერ ასწევს სქელ სავანეს იმის ზმორაება.
დიდი თევზები თვალდათხრილი ᲨᲐᲒ სიბნელეთი
ᲩᲐᲣᲢᲔᲑᲔᲚᲘ დაᲨᲔᲚᲘᲚᲐ ტივის მორბედ.

მოხუც ურაგანს აუარდა ძილში ხველება,
უმძიმს ადგომა, მაგრამ მაინც ვერ იგვიანებს.
თავზე დაატყდათ უარესი საᲨᲘᲨᲚᲔᲑᲐ
ცხელ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ გამოქცეულ ᲐᲘრᲗᲔᲠᲘᲐᲜᲔᲑᲡ.

მოდის ღრიალით თოფნაკრავი და დაკბენილი,
ყინულის დორბლებს ჰყრის პირიდან ავი ბებერი;
ენით ალოკავ თოვლის ფიფქი ძირს დაფენილი
და თეთრ ქარბუქად გამდოᲰᲯარა სულის შებერვით.

გაᲰკრა ფეხი და მტვრად უქცია დათვებს ბინები.
შეკრთენ კოᲨკები, შეᲯგუფულნი, როგორც დაძᲐᲜᲜი.
მათაც მიუხტა და უᲨᲕᲘრი ლანძღვა—გინებები
ᲣᲕᲔᲚᲘ გარᲨᲔმი ემუქრება და ფრთებს აᲮᲐᲜ ის.

აღარა ᲰᲯოფნის სარბიელი უვალავანო
გასაᲕᲐნებლად დღ გარᲨᲔმი შემოსარბენად.
სად ხარ მერრე პოლიუსის ყრუ ფალავანო;
მოᲨᲘრდაპირე თავგასული გიხმობს სარკენად!

მისი ველური ზე ავარდნილ მთვარე დაᲨᲘნდა,
ᲨᲘშისაგანვე თრთის ვარსკვლავი პოლიარული,
მაგრამ ის უკვე ძირს დაეცა და აკᲐᲨᲘნდა
თაგბრუდასხმული და დაღლილი ფაᲕის მორᲬულით.

მადლობა უფალს, რომ მე იმან ფრთა ამარიდა!
გამოვიპარე; გასათბობად დაბლა ვეᲨᲕᲘდი.
ამოᲨᲣᲧრია აᲯერ თავის თეთრ სამᲐრიდან
მამᲨᲝტს დაცემულს Ყამთა უკან გრძელი ეᲨᲕᲘ.

ᲕᲜ იცის კიდევ რამდენ რამეს ᲨᲐმოვედᲘᲗ.
მაᲯრამ გათენდა და გამᲝᲬᲜდა მზე ნახეკვარი.
აი, ᲩᲐმსხდარან მარხილებში სამოვედᲘᲗ,
და მიაᲭᲜᲔᲑს მათ ძაღლების სᲬრაფი ყეკვარი.

ᲨᲘმოᲣᲛᲔლია მონადირეს ᲨᲐვი ტაიგა
და ᲨᲘᲜ ᲑრᲐᲜᲓᲘᲗ ნავსიანი და ხელᲬᲐსული.
ᲪᲔᲪᲮᲚᲘს ნაპირას დაღალულმა ტყაᲕი დაიგო
და ძილში ნახა მან თრითინა ᲑᲘᲜᲘ ასული...

კოᲭლი ჩაᲨᲐრი ჩᲐᲜთიანნი დამძრიალ ხელᲘᲗით
დაᲨᲐრᲘᲚᲘ რᲘᲗᲘᲡᲗᲐᲠᲘ აიღებს და აᲒᲔᲑს დანაᲨᲘ.
მე ᲒᲐმᲐᲡᲣᲜᲯᲔᲑᲓᲘ ᲨᲐნᲐᲒᲘᲗ და მᲐლაᲘᲡᲗᲐᲜ...
ღმᲠᲗᲝრ რამდენი ᲕᲘნᲛᲘ სᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑს ამ ᲥᲔᲧᲕᲐნᲐᲒᲘ!

III

თავზე მადგიან და მᲐᲠᲐᲣᲐᲒᲔ თმას დᲐᲚᲐᲥᲘᲗ,
და მე კი მᲘᲜᲐᲒᲚᲐᲒ საკვირველი ᲨᲘᲜ განᲐᲗᲔᲑᲐ.
ᲰᲐᲒᲠᲘᲗ ᲑᲜᲝᲜᲘᲗ მᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲗ
და ᲡᲐᲗᲝᲜᲑᲔᲑᲖᲔ ეᲪᲔმᲘᲐᲜ თეთრ ᲨᲐნᲐᲗᲔᲑᲘᲗ.

აი, გამიღეს აᲘᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲪᲮᲘ კარᲘᲗ.
ეს რა ყვითელი მტვერი ᲛᲝᲡᲬᲠᲜᲘს რა ᲑᲣრᲐნᲘᲐ?!.
ᲨᲣᲑᲔᲖᲔ ᲕᲐრᲡკვლᲐᲕᲘ და ᲰᲘტᲠᲝᲜᲘს აᲘᲪᲐᲕᲠᲘᲗᲘᲗ
ᲬᲘᲜ ᲛᲘᲛᲘძᲔᲕᲔᲑᲘᲗ და მᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘს ᲒᲖᲐს ᲣრᲐნᲘᲐ.

მᲐᲚᲔ რუᲮ თᲔᲛᲘს დეᲓᲐᲛᲘᲬᲐ მᲮრᲘᲗᲔᲑᲘᲗ მᲝᲛᲘდᲘს;
მᲝᲭᲠᲘს მᲐრᲜᲘᲗ და ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲡᲘᲪᲘᲠᲐ ᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐᲓᲐᲒ;
ᲨᲘᲜᲘს ᲗᲐრᲘᲡ სᲪᲔმს ᲠᲐᲬᲐᲜᲘᲜᲐ ᲠᲔᲚᲘᲤᲝᲠᲘᲗᲔᲑᲘᲗ
ᲝᲣᲠᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲝᲠᲝᲘᲐᲡᲚᲝ გამᲝᲭᲠᲘᲚᲘᲡᲐᲓᲐᲒ

დᲐᲭᲜᲣᲚᲣᲚ ᲕᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ მᲮᲘ ᲝᲣᲠᲐᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲠᲝᲑᲚᲘს ᲩᲐᲠᲔᲑᲘ,
მაᲒᲠᲐმ მᲔᲠᲘᲥᲠᲘᲡ თᲐᲒᲠᲐᲣᲓᲐᲡᲮᲛᲣᲚ ᲡᲘ მᲐᲜᲘᲪ ᲔᲠᲘ ᲕᲔᲜᲔᲚᲘ.
მᲘᲚᲓᲔᲕᲔᲑ ᲤᲝᲠᲛᲘᲣᲚᲘᲡᲝᲜ კᲝᲠᲔᲜᲘᲪᲘᲡ მᲐᲚᲔᲡ ᲡᲘᲤᲔᲠᲝᲑᲘᲗ
და ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲠᲘᲡ გᲐᲮᲕᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲰᲔრᲛᲔᲚᲘ.

მᲐᲭᲕᲐᲗ კᲝᲛᲔᲢᲐ გᲐᲥᲪᲣᲚᲘ ᲑᲐᲭᲠᲘᲗ გᲐᲚᲔᲚᲘ,
ᲔᲠᲗᲐᲤᲣᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲝᲜᲘᲡ ᲕᲐრᲡკᲚᲕᲐᲕᲘ ᲠᲝᲚᲔᲠᲘᲐᲠᲘ,
მაᲒᲠᲐმ ის უკვე ძირს დᲐᲪᲔა და აკᲐᲨᲘნდა
თაᲒᲑᲠᲣდასხᲛᲣᲚი და დᲐᲦᲚᲘᲚი ᲤᲐᲕᲘს მᲝᲠᲬᲣᲚᲘთ.

მᲐᲓᲔᲚᲛᲝᲐ უᲤᲐᲚᲘ, რომ მე იმან ფრთა ამარიდა!
გამᲝᲕᲘᲠᲔ; გასათᲑᲝᲛᲐდ დაბლა ვეᲨᲕᲘდი.
ამᲝᲨᲣᲧრია აᲯერ თავის თეთრ სამᲐრიდან
მამᲨᲝტს დაცემულს Ყამთა უკან გრძელი ეᲨᲕᲘ.

ᲕᲜ იცის კიდევ რამდენ რამეს ᲨᲐმოვედᲘᲗ.
მაᲯრამ გათენდა და გამᲝᲬᲜდა მზე ნახეკვარი.
აი, ᲩᲐმსხდარან მარხილებში სამოვედᲘᲗ,
და მიაᲭᲜᲔᲑს მათ ძაღლების სᲬრაფი ყეკვარი.

ᲬᲘᲜᲝᲦᲚᲘᲗᲘᲚᲘᲗ მიაᲠᲦᲕᲔᲕᲔᲜ მას კᲝᲛᲔᲢᲘᲡ
და უკან რᲩᲔᲐ მათ გამᲝᲓᲜᲐრი ᲥᲐრᲗᲐ ᲑᲝᲚᲔᲑᲐთ,
ᲣᲡᲐᲮᲣᲠᲝᲠᲘᲡ სიღრმეᲔᲑᲨᲘ თავ გᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ
გᲐდᲐვარდნილᲐᲒ მᲐთი გზᲔᲑი ᲐᲠᲐᲑᲝᲚᲝᲑᲐდ.

ᲘᲥ მზეᲑᲘᲐ ᲥᲕᲘᲗᲡᲐᲕᲘთ დაᲣᲚᲔᲕᲔᲚი,
მაᲒᲠᲐმ სულᲬᲣᲚᲔᲡᲐ მᲝᲜᲘᲚᲔᲑს ᲨᲐᲕი მᲣᲪᲔᲚი;
ᲭᲐმთა დᲔᲜᲘს და სიᲒᲠᲪᲔᲑᲘს ᲐᲕი მᲔᲖᲔᲚი
ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲒ გაᲨᲮᲔᲓᲐ ᲨᲢᲐᲜᲓᲐრᲢᲘᲗᲘთ აᲬᲔᲣᲚ ᲪᲔᲚᲘთ.

დᲐᲐᲢᲐრᲔᲑᲔᲜ ᲮᲚᲝᲜᲚᲘᲢᲔᲑი გᲐᲧᲘᲜᲣᲚᲘᲗᲐ
თᲐᲝᲜᲘ გᲣᲚ—მᲧᲔᲠᲜᲔᲚᲘ დᲐᲢᲝᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚ მᲧᲒᲓᲐრ ᲘᲚᲝᲜᲒᲔᲑს;
ᲕᲔᲠᲔᲑᲘᲗᲝᲠᲘᲔᲚᲐ ᲝᲠᲝᲑᲘᲢᲔᲑი სᲬᲘᲠᲔᲜ ᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ
ᲡᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲗᲐ გᲣᲨᲘᲛᲔᲠᲐᲠᲐᲒ კᲕᲐᲓᲠᲘᲚᲝᲠᲝᲜᲔᲑს.

ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲑᲠᲓᲝᲚᲐᲨᲘ დᲐᲙᲝᲓᲘᲚი მᲮᲜᲘ გᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ
ᲨᲝრს იᲤᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐნᲘ გᲐᲐᲓᲠᲐᲠᲘᲗᲘთ;
იკᲚᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ თᲐᲒᲕᲐᲡრᲣᲡᲘᲚ ᲬᲘთᲘᲚ ᲒᲒᲔᲠᲔᲑᲐდ
მᲘᲡი ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲚი კᲘᲚᲐᲠᲢᲐრᲘᲐ,

ᲔᲓᲔᲠ გაუძᲚᲝ და ᲔᲓᲐᲮᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲔᲚ ᲭᲠᲔᲚᲡᲘს,—
იგრძᲜᲝ რომ ᲪᲣᲓᲐდ უთᲐᲕᲔᲑᲐ ᲝᲛი გᲛᲘრᲣᲚი,—
ᲮᲜᲔᲡ ᲔᲒᲔᲓᲠᲔᲑᲐ დეᲓᲝᲜᲘ კᲐᲚᲗᲐᲑს და ᲛᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲣᲚᲔᲑს
და მᲐთ ᲬᲘᲐᲚᲘᲗ მᲘᲜᲘᲡᲬᲘᲐᲤᲝს თᲐᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚი,

მᲐს უკან მᲘᲡᲘᲓᲔᲒს დეᲓᲐᲛᲘᲬᲐ მᲢᲘრᲐᲚ თვᲐᲚᲔᲑᲘᲗ
და გზა იმᲘᲜი იგრᲘᲜᲔᲑᲐ, როგორც სᲐᲠᲐᲚი,
მთვარე გაგიᲦᲔᲗ ათᲐᲡᲬᲐᲠᲘ მᲝᲢᲠᲘᲐლᲔᲑᲘᲗ,—
ᲐᲮ, სად მიᲝᲛᲠᲔᲒს მᲐᲡ ეს ეᲓᲔᲒი მთᲔრᲐლი ფᲘრᲐლი!

მიᲰᲭᲠᲘᲡ ᲑᲠᲧᲘᲜᲔᲚᲐᲒ ᲩᲘმᲠᲘᲝᲜᲘᲡ გზᲘᲡ მᲝᲗᲔᲯᲝრᲔᲑᲘᲗ.
ᲬᲘᲚᲝᲬᲕᲐდᲔᲑᲘ გᲐᲭᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲬᲚᲔᲑს მიᲰᲭᲘᲒᲔᲐᲜ,
ᲣᲪᲐᲚ ᲒᲐრᲛᲘᲐᲜ ᲗᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲪᲘᲚᲛᲘᲬᲔᲑᲘᲗ,
ᲛᲐᲒᲠᲐმ მᲐᲜᲫᲘᲚი ᲡᲣᲚ ᲘᲡᲐრი, ᲡᲣᲚ ᲜᲔᲒᲘᲒᲝ!..

ო, ᲜᲣ ᲨᲔᲒრᲗᲔᲑი ᲨᲔმᲝᲭᲠᲔᲣᲚ ᲪᲔᲚᲡᲘ ᲩᲔᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲩᲔᲜᲘᲜ ძᲘᲠᲘᲗᲐᲡᲐᲜ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲡ მᲮᲘᲠ ᲒᲔᲚᲔᲝᲡ.
ᲠᲝᲪᲐ რაᲨᲔᲑი დაგᲔᲑᲝᲪᲜᲔ ფიᲪᲮᲔᲚᲘ ᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡაც სᲘთᲛᲝ და სᲜᲔᲑᲝᲚᲘ გᲐᲛᲠᲔᲒᲔᲚᲝᲡ!..

თვᲐᲚᲔ დᲐᲮᲣᲭᲘ ნᲐᲛᲐრი და ნაᲯᲐფᲐრი;
სულᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔრი მᲝᲭᲕᲔᲑᲔᲑᲐ ღᲛᲘს ღᲐᲜᲔᲑᲘᲐ:
აღᲐრ იᲥᲜᲔᲑᲐ მᲐრᲑᲝᲚᲘᲡᲐ, კᲝᲭᲚᲔ ᲩᲐფᲐრი,
მᲐდᲐგᲐსკᲐრ, საქᲐრთᲕᲔლᲝ და ᲘსᲚᲐნᲓᲔᲑᲐ!.-

Ჯ. ᲭᲝᲭᲘᲜᲐᲫᲔ.

რედაქტორი: **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ.**

უ. ს. ს. მ.

სათბოები მასალის განყოფილება

(სასახლის ქ. № 6. ტელეფ. 5—23.)

ამით აუწყებს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებს, რომ თანახმად ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის № 3 გამოცხადებულია გაზეთ „ამიერ-კავკასიის ჰრავდაში“ ა.წ. 16 მაისიდან.

განყოფილებას მიეცა უფლება სანავთო პროდუქტებით ვაჭრობის მონოპოლიისა.

ს. ს. ს. რ. მთელს ტერიტორიაზედ.

განეოფილებას მუდმივად აქვს თავის საწყობებში ბლომად ეოველნაირი სანიეთო ჰროდუქტები, როგორც

ნავთი, მაზუთი, კეროსინი

წონის 0,860-იდან მოტორების და წვრილ ფორსუნკებისთვის

ბენზინი

მაშინის და ცილინდრის ზეთები

ორთქმავალი მანქანების, მამოძრავებლების, ცილინდრის, აგრეთვე ავტომობილების წასასმელად.

განეოფილება წარმოება ვაჭრობის ზემოხსენებულ ჰროდუქტებით **ნვრილ პარტიებად** და ვაგონები--ცისტერნებით ნადდით და ხელშეკრულებათ.

ბათუმად ვაჭრობა თბილისში განეოფილებათა შემდეგ სანავთო საწყობებში შეიძლება,

ნავთსაწყობი:
№ 1—2 ავჭალის ქ., № 11 ტელ. 9—30
№ 2—ნათლუხი, კახეთის და ნათლუხ. ქ. კუთხე ტელ. 5—85
№ 4—მაზუთის შესახ., № 5 ტელ. 3—47
№ 2—კახეთის ქ. № 56
№ 3—ოლღის ქ. № 41
№ 4—დესიმონოვის მოედ. № 4
№ 6—ამაღლების ქ. № 8
№ 7—ღვინის ადმართი, № 59
№ 8—ველიამინოვის ჭ. № 10
№ 9—რაზ, ეზაია ქ. № 14
№ 10—ჩერქეზიშვილის ქ. № 89

№№ 2,4 და 7 დუქნებში აგრეთვე იყიდება **ხის ნახშირი**

ფეშის და ქვანახშირის ყიდვა სწარმოეგს მასალის საწყოგში № 11

დიდუბე, ახალგანძრახული ქ. (ანდრეევის კუთხე).

ს. ს. ს. რ. თამბაქოს ტრესტი

დაგროვნებითი კაპიტალი 6.000.000 მ. ოქროთი
თვიური ტრიალი 40.000.000.000 მან.

ტრესტის მმართველობა ქალ. თბილისი შტაბის, 2 ტელეფონი 12—29.

ბაშების რიგები. 2. კონტორები და განეოფილებანი: ბაქო' ბათუმი, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, ახსაბადი, ტაშკენტი, თეირანი, თავრიზი და ეაზვინი.

იძლევა თავის თამბაქოს ნაწარმოებს.

ტრესტში ვაჭრობა განსაკუთრებით ბითუმადაა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის

სახალხო კომისარიატი

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შელავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მმართონ ყოველ დღე (უქმეებს გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სავაჭრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშეთ სთხოვენ მიმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

ა. კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

ცეკავშირი

თბილისი, შტაბის ქუჩა № 4 ტელეფ. 1—92.

აერთებს 22 რაიონულ კავშირს, 910 კოოპერაციას 425.000 წევრს

განყოფილება **ბათუმში** და წარმომადგენლობა **სტამბოლში ლონდონში, ბერლინში, საკუთარი გემი— „საქართველოს კოოპერაცია“**

საკომისიო აპერაციები **საექსპედიციო** კონტორა იღებს დაკალებებს გარეშეთაგან.

წარმოებანი: სტამბა, ძეხვის ქარხანა, მექანიკური სახელოსნოები, საკონსერვო ქარხანა, საპნის ქარხანა, ხილის და ბოსტნეულის სახმობი პუნკტები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

ვეტერინარ ბაქტეორიოლოგიურმა ლაბორატორიამ **დაამზადა**

ციმბირის ჭირის (Сибирская язва)

საწინააღმდეგო 1 და 2 ვაკცინები

დოზა ვაკცინისა ღირს 5.000 მანეთი.

ლაბორატორია **აწარმოებს** ეოველგვარ

დიაგნოსტიურ გაშოკვლევებს

(ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულს)

აქვე შეიძლება შეძენა გამოხდილი (Дистилированная) წყალისა.

კობის ქუჩა № 9.

დიდი ეროვნული ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ

სცადეთ თქვენი ბედი დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მოქმედებას ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა